29449/18

ნაკვალევი

მარტი, 1918 წ.

№ 3.

საყმაწვილო ჟურნალი

მცირე წლოვანთათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წელიწადი მე-XIV. № 3. მარტი 1918 წ.

899.962.1(05)
ნ-29
F-5819
T346

დანაშაული და სასჯელი

910/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I—დანაშაული და სასჯელი,—სურათი 1

II—გმირი, —ლექსი შიო მღვიმელისა. 3

III—შავი ცუგა,—ელოსი 4

IV—ნეტავ ჩქარა დაგვითხოვონ,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა . . . 11

V—ცალფეხა პეტრე,—ი. სიხარულიძისა 13

VI—ზღვის ხელმწიფის ბრილიანტები,—დასასრული თარგმანი იტალი . 20

VII—კუდა-კუდა არაკები,—აი მსაჯული, თარგმანი, ი. გოგიასი . . 23

VIII—გასართობი: 24

სტამბა-ლიტოგრაფია **საქართველოს** დემოკრ. რესპუბლიკის რკინის გზისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირი

(გივი მესხიშვილს)

ეარო ნეტავ რას ზუზუნებ
და სიმწარით რას დამკივი?
ვერ მსედავ: ჯერ ჰატარა ვარ—
მომავალი გმირი გივი!

და შენ როგორ შემაშინებ
გუგუნით და გრიალითა,
როდესაც ტუე მიალერსებს
მწვანე ფოთოლთ შრიალითა.

ჩემ ბიძებს თუ არ ამშვენებს
დღეს აბჯარი და ჩაჩქანი,
მე ხომ მაინც დამიდგება
ის გმირული დრო და ხანი,

როცა ჩემ ძმა ტოლ-ბიჭებში
სანადირო გავერევი...
წუნარ ბელურებს არ დავხოცავ,
სულ ეკავ-ეორნებს დავერევი.

განა იმათ კი გავწირავ,
დაუკოდავ ნისკარტს და ფრთებს,
რომ ბეგარა არ დაადონ
ჩვენ კრუხსა და ჩვენ წიწილებს.

შიო მღვიმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ცუგა

ჩემი თავი მახსოვს სულ პატარა, როდესაც დედის ძუძუს მომაშორეს. ჩემმა პატრონმა ხელში ამიყვანა და სადღაც წავედით. რომ მივდიოდით, დედა უკან დაგვედევნა და ძალზე წკმუტუნი დაიწყო; მაგრამ ჩვენმა პატრონმა ისეთი წიხლი შესთავაზა, რომ ის გაიქცა და სადღაც მიიმალა.

ჩვენ ერთი დიდი სახლის კარებთან გავჩნდით. იქ არავინ მოჩანდა. ჩემი პატრონი კარგა ხანს ვიღაცას უძახოდა. გარედ მოხუცი კაცი გამოვიდა და ჩვენი მოსვლის მიზეზი იკითხა. ფირუზამ უთხრა: ქალბატონს ლეკვი დავპირდი,—აი მოუყვანეო. მოხუცი სახლში შებრუნდა, და ცოტა ხანს შემდეგ ჩვენც სახლში შეგვიყვანეს.

მე ძალიან მეშინოდა. დიდი სახლი იყო, და სულ აქეთ-იქით ვიყურებოდი; თანაც აქ სულ სხვა სუნი იდგა და ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლს სულ არ ჰგავდა. თანაც დედის მოშორება მაწუხებდა და ტირილი მომდიოდა.

როცა დაბლა ჩამოვსვეს, ფეხი ვერც კი გადავდგი, სულ ძირს ვეცემოდი. მიწაზე სიარულს შეჩვეულმა ფიცარზე ვერ გავიარე.

— რა ჰატარაა, საწყალი!—მოვესმა ვიღაც ქალის ხმა:— როგორ კანკალებს; უთუოდ სცივა. რა ბანჯგვლიანია. თვალებიც კი არ უჩანს, ისეთი ბალანი აქვს.

— აი, ხომ აგისრულე თხოვნა და გიშოვე ჰატარა ცუგრია, ჩემო თინა!—მოვესმა უცნობი კაცის ხმა. ისე მომეწონა ეს ხმა, რომ მაშინვე კაცის ფეხებისკენ გავეშართე; მაგრამ ისევ წავიქეცი და ტირილი დავიწყე; თან ეს უცნობი სახლის სუნი მაწუხებდა.

მალე ეველანი სხვაგან წავიდნენ და მე მარტო დავრჩი. ქალიან შშიოდა. დაღლილიც ვიყავი და ცოტა ხანს ვიძინე. ამ ძილიდან ვიღაცას ხმამ გამომაღვიძა:—აი, კარგი მოგიგათ—კაი ლეკვი შემოგიგდიათ. ახლა ამას აჭუჭყიანებინეთ იატაკი: ვითომდაც ცოტა საქმე მაქვს.

მოვიდა ვიღაც კაცი ჩემთან და მუჯლუგუნი წამკრა. მე ძალიან მეტკინა და წკმუტუნი დავიწყე. ისე ვტიროდი, რომ ქალბატონი შემოვიდა და იკითხა:

— რათა წკმუტუნებს, თომა, ეს ცუგია?—ჰკითხა იმან, ხელში ამიყვანა და გულში ჩამიკრა.

— რა მოგახსენოთ: უთუოდ დედის მოშორებას დარდობს,—უთხრა კაცმა.

— იცი, თომა, ცოტა რძე დაუსხი და ჰურიც ჩაუფხვენ; ხვალ ბაზრიდან ხორცი რომ მოიტანო, ცოტა ღვიძლიც დააწონინე, რომ მოუხარშოთ და ვაჭამოთ.

კარგა ხანს, სანამ სისუფთავეს შევეჩვეოდი, ბევრი მწარე დღეები გამომატარა თომამ. დილით, ოთახის დასალაგებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შემოვიდოდა და რამე უსუფთაობას ნახავდა, შეშინ-ტანდა წკეპლას და ისე მცემდა, რომ ძლივს დავდიოდი. ამ დროს ბატონებს ეძინათ, და რას გაიგებდნენ. თან სამზა-რეულოში დამამწყვდევდა, რომ ჩემი ხმა არ გაეგოთ. ბევრ-ჯელ მოვინდომე იმისი კბენა, და ულრენდი კიდეც, მაგრამ ამის შემდეგ უფრო მაგრად მცემდა. როცა ბატონები შემა-ტეობდნენ, რომ ძლივსღა დავდიოდი, თომა ეტეოდა, რომ ეს ცუგა მეტად მოუსვენარია. გარეულ გადის, დიდ ძაღლებს ეჩხუ-ბება, და ისინი ჭკბენენო.

ასე გაიარა ერთმა წელიწადმა. მე კარგად წამოვიზარდე და სისუფთავესაც შევეჩვიე. თომას ვერიდებოდი, რადგან ის არა მწყალობდა, და სადაც კი დამიჭერდა, მცემდა; მაგრამ მე ისეთი მარდი სირბილი ვისწავლე, რომ ჩვენს უბანში არა-ვინ მჯობნიდა.

ჩვენ ერთი დიდი ეზოთელი ციცაც გვეავდა; მე ის არ მიეკარდა; არც ვეჩხუბებოდი, რადგან ვიცოდი, რომ ჩემ ბა-ტონებს უყვარდათ. ერთხელ დილით მოვიდა ვიღაც ბატარა ბიჭი და ბაწია თეთრი ლეკვი მოიყვანა. მე ავხედ-დავხედე, და სულ არ მომეწონა; ღრენა დაუწყე; მინდოდა მეკბინა, მა-გრამ ჩემი ქალბატონი გამიჯავრდა მიუალერსა, და მე მივხდი, რომ ის ჩვენთან უნდა დარჩენილიეო.

—ნახე, რა კარგი თეთრი ძაღლია,—მითხრა იმან და ჩემ-თან ახლო მოიყვანა. მართლაც სულ თეთრი იეო ის ბატარა გოშია და თანაც ისეთი ბატარა და გამხდარი, რომ ძვლები დაეთვლებოდა. დიდი ბირისახე ჭქონდა, შავი, დიდი თვალები, შუბლი სულ დანაოჭებული, ტანზე—გატკეცნილი ბალანი და ბატარა, განიერი ეურები. ძალიან სასაცილო იეო; ისეთი ბე-ბრუცა სახე ჭქონდა, რომ ასი წლისას ჭვავდა. როცა დაი-ეეფებდა, ხომ ეველას სიცილს ჭვვრიდა, თითქოს ბებერმა კაცმა დაახველაო, უცნაურად, ეელში—ბოხი ხმითაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონს ძალიან მოეწონა, და იმის მომეკვანს საძინებელი აჩუქა. თომაც იქ იყო იმ დროს. მაღლი არ მოეწონა და ფულის მიცემაზე სომ უფრო გაბრაზდა. მერე დედაკაცს ეუბნებოდა:

— როგორი ხალხია ეს ჩვენი ბატონები: ერთ უმზგავსო ლეკვში სამი მანეთი როგორ მისცეს!—თან თავი გაიქნია.

სახელად ტუსია დაარქვეს.

მალე მე და ის დავმეგობრდით. მაგრამ ტუსია და ჩვენი ციცო კი სულ მტრები იყვნენ. უნდა გენახათ სადილობის დროს, როგორი თვალით უყურებდა ტუსიკო ციცოს: ჩემზე მეტი არა შეჭამოს-რაო. სადილობისას თუ სხვაგან იყო და შემდეგ სასადილოში შემოვიდოდა, პირველად ციცოს მიჰვარდებოდა და ტუჩებში უსუნებდა,—სომ არაფერი უჭამია უჩემოდაო.

უნდა გეუურებინათ ტუსიასთვის,—რა ჩსუბს აუტეხდა ფისოს, თუ ტუჩებზე ქონის სუნი ჰქონდა. გამეტებით კი ვერ უკბენდა, მაგრამ კარგად დაჯმუჯნიდა და აჩხავლებდა. ძალიან სასაცილო იყო იმ დროს ტუსო; იმ ბებრუცა სახეს უფრო შეიკუმშავდა, შუბლი უფრო დაუნაუჭდებოდა, კბილებს დაკრეჭავდა, და იმ პატარა კუდს ზევით აიშვერდა. საწყალი ფისო შიშისაგან სულ ერთი ბეწო გახდებოდა სოლმე. ბატონები იმ დროს სიცილით იხოცებოდნენ. ან მაშინ როგორ გაბერავდა კისერს და დაიწყებდა ღრენას, როცა ქალბატონი ფისოს ჩაისვამდა კალთაში, თან მებუტბუტებოდა, ნეტა მაგას როგორ უალერსებენ: დღეს ქვეყნის სვლიკები წააღრჩოო!..

მალე ტუსო ისე შეუყვარდათ, რომ მე აღარც კი მიალერსებდნენ; მაგრამ მე კი ისინი მთელ ქვეყანას მერჩივნენ. როცა ბატონი სახლში დაბრუნდებოდა, იმის ნახვა ისე მიხარდა, ასე მეგონა—მთელი ქვეყნის საჯმელი ჩემთვის მოუცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამე ძილიც სულ არ მომდიოდა: გარედ დავრბოდი. არავინ გამომეპარებოდა. ხშირად მოცვივდებოდნენ მეზობლის ძაღლები, მაგრამ აბა რას გავაწყანებდი. მე, როგორც ჰატარას, არად მაგდებდნენ დიდი ქოფაკი ძაღლები, მაგრამ მე ჩემსას არ ვიშლიდი, სულ ვეჩხუბებოდი. ხშირად იმათგან სულ დაგლეჯილი, თავ-ჰირ-სისხლიანი ძლივს მივიდოდი სახლამდის და რამდენიმე დღე ვეგდე სადმე თივაში. ჩემი წვრილი, წკრიალა ხმა მეზობლის ძაღლებს არ აძინებდა. როდესაც ზამთრის სუსხიან ღამეს ისინი თბილად დაიძინებდნენ თივაში და ცხვირს კუდ ქვეშ ჩაჭეოფდნენ, არაფრად მოსწონდათ ჩემი ხმაურობა და გაჯავრებული ხმით მაძლევდნენ ჰასუხს. ტუსო კი ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა, და როცა გარეთ ეეფას ავტეხდი, გამომეხმაურებოდა. ისე იეეფებოდა, გეგონებოდათ ეელში ბურთი გასჭედიაო.

დილით ადრე დაუვლიდი მთელ უბანს. ერთ ეზოში ქათმებს ავაწიოკებდი, მეორეში—ძაღლებს გამოუდგებოდი. გამოცვივდებოდნენ დედაკაცები, დამიშენდნენ ქვებს, მაგრამ მე ისეთი მარდი სირბილი ვიცი, რომ ვერავინ მომეწევა. თავს ზევით ავწევ, ბანჯგვლიან კუდს დაბლა ჩამოუშვებ, დიდ ეურებს უკან გადავიეერი და როგორც ქარი—ისე გავრბივარ.—ეს ცუგა, როგორც ბურთი, ისე მიგორავსო,—ამბობდნენ ჩემზე ბიჭები.

ასე ვატარებდი ჩემ დღეებს.

ერთხელ ზამთარში კი რაღაც გამოიცვალა. რაღაც მაკლია, რაღაც მაწუხებს, და არ ვიცი კი რა! ჩემი საუვერელი ბატონი მას შემდეგ აღარ მინახავს. ერთ დღეს მთელი ეზო ხალხით აივსო; მერე სადღაც წავიდნენ. მას აქეთ ბევრს დავეძებდი ჩემ ბატონს, მაგრამ კი ვერსად ვხედავდი. მთელი უბანი და სახლები მოვიარე. ვენახშიც კი გავეეი მეზვრე გიოს, სულ დავსველდი ნამიან ბალახში, გზაზეც ბევრგან შევირბინე ვენახებში, მაგრამ ის ვეღარსად ვნახე.

შარა გზაზედაც ხშირად დავრბოდი,—იქნება ამ გზით ...ვიდეს მეთქი, მაგრამ დრო გადიოდა, ის კი აღარსად ჩანდა.

ქალბატონიც აღარ არის სახლში: იშვიათად მოდის. ჩემ სიხარულს არაფერი შეედრებოდა იმ დროს, როცა ის აქ იყო. აღარ ვშორდებოდი. იმასაც უხაროდა ჩემი ნახვა, სულ მიალერსებდა და მეუბნებოდა:—ჩემო ცუგა, დავრჩით მარტოდ მე და შენა. თან თვალებში ცრემლები მოსდიოდა.

ის ცოტა ხანს რჩებოდა სახლში, მთელ დღეს უვლიდა ბაღს, ეზოს; ერთი ხე არ გადაურჩებოდა, რომ არ მოსულიყო და ხელით არ შეეხებოდა. უფრო ხშირად კი დიდი კაკლის ხის ქვეშ იჯდა, სადაც ისე ხშირად ის და ბატონი ისხდნენ.

ტუსოს თუ იკითხავთ, ის იმ ზამთარსვე მოკვდა. სულ ამბობდა,—მარტო ვერა ვძლებო, არც ბატონს ვხედავ, არც ქალბატონსაო. სულ წკმუოდა—ნეტა რად მიგვატოვესო,—ძალიან წვალობდა. მე ის მეცოდებოდა.

შინ ვერა ვძლებდი: სულ მეზობლებში დავდიოდი. ერთ დილით, ეზოში რომ შევედი,—ტუსო გარედ უძრავად ეგდო. ბევრი უარე გარშემო, დავსუნე, დავეეფე კიდეც, იქნება გაიღვიძოს მეთქი, მაგრამ არ გაიღვიძა. მას შემდეგ უფრო ველარა ვძლებ ამ სახლში. აქვე ერთ მეზობლისასა ვარ ხშირად. მშია, მაგრამ მე აქ მირჩევნია... დღეში რამდენჯერმე გადავირბენდი ჩვენ სახლში, მოუვლიდი სახლს, შემოვირბენდი მთელ ეზოს, ბაღს, ბოსტანს...

ამ ცოტა ხანში მოვიდა ჩემი ქალბატონი. მე ისე გამეხარდა იმის ნახვა, სულ ვწკმუოდი სიხარულით: მეგონა გული გამისკდებოდა. არ მოვშორებივარ. მხოლოდ ის მიკვირს: ერთ ოთახში იყო სულ, და როცა მე წინ გავიქცეოდი და სხვა ოთახებს მიუახლოვდებოდი, ის მეტეოდა:

—არა, ჩემო ცუგა, მანდ მეც მინდა შევიდე, მაგრამ ხომ ხედავ კარებს—რა დიდი ბოქლომი ადევს? მე მარტო ამ ერთ ოთახშიღა შეიძლია ვიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე ხელს გადამისვამდა, მერე მიუბრუნდებოდა მოსამსახურე ოლას და ეტყოდა:—ამაღამ ცუგა ოთახში დავტოვოთ: გვიყარაულებს. სულ მარტონი ვართო. მერე მე მეუბნებოდა: ჩემო ცუგა, შენ ხომ სხვებსავით არ დაგვტოვებ? კარგად გვიყარაულო. მე თანხმობის ნიშნად კუდს ვიქნევდი და რომ შემძლებოდა, ბევრს უამბობდი ჩემ ქალბატონს იმაზე, თუ როგორ მიყვარდა.

ამ ჟამად ჩემი ქალბატონი აქ არის. მე სრული კმაყოფილი ვარ ჩემის ბედისა და სულაც არ მაფიქრებს, რომ ის მალე წავა, სახლს დაჭკეტავს და მეც ნასევრად მშიერი მეზობლებთან უპატრონოდ დავრჩები.

ელო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ ჩქარა დაგვითხოვონ!

ნეტავ ჩქარა დაგვითხოვონ,
სწავლა გათავდესო,
და კლასშიაც გადავიდე,—
სახლში არ შემრცხვესო.

გაზაფხული ჭრელი კაბით
ჩქარა მოვიდესო;
სიხარულით მივეგებოთ,
ცხრა-თვალიან მზესო.

მამა-ჩემმა სოფლისაკენ
დაგვაუენოს გზასა
და ვეწვიოთ გადაფურჩქნულ
მინდორსა და მთასა.

ვისტუნაოთ მწვანე ველზე,
ვსდიოთ ჰეჰელასა;
საბანაოდ მოვემზადოთ,
ჩაურბინოთ წყალსა.

მივესალმოთ სოფლის ბიჭებს,
ვასოს და ვანესა;
მათ გაუსდეთ ამხანაგად,
მოვიწვიოთ ჩვენსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევასწავლოთ წერა-კითხვა,
ვუმღეროთ ლექსები;
სწავლის შემდეგ მათ თან გავვეთ,
გავირეკოთ ცხვრები.

ზაფხულში ეანას ვეწვიოთ,
გავვეთ მეურმესა;
კალოობა რომ დადგება,
შემოუსხდეთ კევრსა.

მთელი საძი თვე გავლიოთ
ბუნებისა მკერდზე,
რომ ძალ-ღონე შეგვემატოს
და მოვიდეთ ფერზე.

შემოდგომას კვლავ სკოლაში
ჩამოვიდეთ ჩვენა,
რომ შეუდგეთ ბეჯითობას,
გავიკვეთოთ ენა.

ახლა კი ნეტავი ჩქარა
სწავლა გათავდესო;
გაზაფხული ჭრელი კაბით
ჩქარა მოვიდესო.

მამა-ჩემმა სოფლისაკენ
დაგვაუენოს გზასა
და ვეწვიოთ გადაფურჩქნულ
მინდორსა და მთასა.

დ. ელიოზიშვილი





ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალფეხა პეტრე

(ძღვნად პეტრე დიდიმამაშვილს)

I

პეტრე ძლიერ მკვირცხლი ბავშვი იყო; მის მუდამ მოძღიმარე სახეზე და მორიჟრაჟე თვალებში სიცოცხლე და თან დაუდგრომლობა იხატებოდა. ის მუდამ ცმუკავდა, სტოდა, ჟღურტულობდა, სულ იცინოდა; მისი შესედვა, მისი სიცოცხლით სავსე არსება კაცს, რაც უნდა სევდა ჰქონოდა, შეჯმუსვნილ შუბლს გაუსსნიდა და შვებას მოჰგვრიდა. პეტრე ბათუმის ქალაქის პირველდაწყებით ქართულ სკოლაში სწავლობდა. დაუდგრომელი პეტრე ვერც გაკვეთილებზე ისვენებდა: მისი მკვირცხლი ბუნება სულ მოძრაობას ითხოვდა. ამიტომაც იყო, რომ მასწავლებელი ხშირად იცქირებოდა მისკენ, ხშირად მოაგონებდა მას სკოლის წეს-რიგს, გაკვეთილებს ხშირად ჰკითხავდა, რათა თავისუფალი დრო არ დარჩენოდა ცელქს და სკოლის წეს-რიგი არ დაერღვია. ის თუმცა ცელქობდა, მაგრამ საშუალო მოწაფეთ მაინც ითვლებოდა. თუ კი მასწავლებლის ახსნას ეურს მოჰკრავდა, მერმე ის აღარ დაავიწყდებოდა; ყველაზე უფრო მას ანგარიში ეადვილებოდა, და მართლაც ანგარიშში თითქმის ყველას სჯობნიდა. მასწავლებელი ხშირად ეტყოდა: „პეტრიავ, შენ რომ ცოტას ეურს მიგდებდე და სულ არ ცმუკავდე, ამხანაგებს არც სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევასწავლოთ წერა-კითხვა,
ვუმღეროთ ლექსები;
სწავლის შემდეგ მათ თან გავუვეთ,
გავირეკოთ ცხვრები.

ზაფხულში ეანას ვეწვიოთ,
გავუვეთ მეურმესა;
კალოობა რომ დადგება,
შემოუსხდეთ კევრსა.

მთელი საძი თვე გავლიოთ
ბუნებისა მკერდზე,
რომ ძალ-ღონე შეგვემატოს
და მოვიდეთ ფერზე.

შემოდგომას კვლავ სკოლაში
ჩამოვიდეთ ჩვენა,
რომ შეუდგეთ ბეჯითობას,
გავიკვეთოთ ენა.

ახლა კი ნეტავი ჩქარა
სწავლა გათავდესო;
გაზაფხული ჭრელი კაბით
ჩქარა მოვიდესო.

მამა-ჩემმა სოფლისაკენ
დაგვაუენოს გზასა
და ვეწვიოთ გადაფურჩქნულ
მინდორსა და მთასა.

დ. ელიოზიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალფეხა პეტრე

(ძღვნად პეტრე დიდიმამაშვილს)

I

პეტრე ძლიერ მკვირცხლი ბავშვი იო; მის მუდამ მოძღიმარე სახეზე და მორიჟრაჟე თვალებში სიცოცხლე და თან დაუდგრომლობა იხატებოდა. ის მუდამ ცმუკავდა, სტოდა, ჟღურტულობდა, სულ იცინოდა; მისი შეხედვა, მისი სიცოცხლით სავსე არსება კაცს, რაც უნდა სევდა ჰქონოდა, შეჭმუხვნილ შუბლს გაუსსნიდა და შვებას მოჰგვრიდა. პეტრე ბათუმის ქალაქის პირველდაწყებით ქართულ სკოლაში სწავლობდა. დაუდგრომელი პეტრე ვერც გაკვეთილებზე ისვენებდა: მისი მკვირცხლი ბუნება სულ მოძრაობას ითხოვდა. ამიტომაც იო, რომ მასწავლებელი ხშირად იცქირებოდა მისკენ, ხშირად მოაგონებდა მას სკოლის წეს-რიგს, გაკვეთილებს ხშირად ჰკითხავდა, რათა თავისუფალი დრო არ დარჩენოდა ცელქს და სკოლის წეს-რიგი არ დაერღვია. ის თუმცა ცელქობდა, მაგრამ საშუალო მოწაფეთ მაინც ითვლებოდა. თუ კი მასწავლებლის ასსნას ეურს მოჰკრავდა, მერმე ის ადარ დაავიწყდებოდა; ყველაზე უფრო მას ანგარიში ეადვილებოდა, და მართლაც ანგარიშში თითქმის ყველას სჯობნიდა. მასწავლებელი ხშირად ეტეოდა: „პეტრიავ, შენ რომ ცოტას ეურს მიგდებდე და სულ არ ცმუკავდე, ამხანაგებს არც სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგნებში ჩამოუვარდებიო“... მაგრამ ჰეტრია გაიღიმებდა, თვალებს ერთი წუთით ძირს დასრიდა, თითქოს თავს დამნაშავედ სცნობსო და მერმე ისევ შეუდგებოდა ცმუკვას და ბავშვებთან ფურჩულს. ეს კლასში. ახლა არ იკითხავთ, რაებს არ ჩადიოდა სკოლის ეზოში? დარეკდნენ ზარს თუ არა, ის ეველაზე წინ მირბოდა გარეთ, ქვის კიბის საფეხურებს ფეხებს არც კი ადგამდა, ჰირდაჰირ მოწუეტით გადასტებოდა ძირს, ერთს შეუსტებოდა, შეტლინკავდა და ქივილ-ხივილით გაერეოდა ამხანაგებში; ხან ჭიდაობდა, ხან აიეოლიებდა ვინმეს და თავგამოდებით ცეკვავდა, ხან კოჭს თამაშობდა, ხან რიკტაფელობიას, ხან მოასტებოდა ზურგზე რომელსამე ამხანაგს და აჭენებდა... ვინ მოსთვლის, თუ რა ოინებს არ გამოიგონებდა. ცელქს გაკვეთილზე ზარის ხმა ისე არ ასარებდა, როგორც გაკვეთილის გათავებისას; მისთვის არ იეო საკმარისი რაღაც ხუთი თუ ათი წუთის ნავარდი. უნდა სიმართლე ვსთქვათ, რომ ჩვენი ჰეტრიკა თუმცა ძლიერ ცელქი იეო, მაგრამ ცუღლუტი არას დროს არ ეოფილა, ის არავის არ აწუენინებდა, არც სცმედა, არც რამეს დაუშავებდა, ჰირიქით, ამხანაგების მოსიევარულე და გულკეთილი ბიჭი იეო. ამიტომაც იეო, რომ ის ეველას უევარდა სკოლაში. საკმარისი იეო ის ხანდისხან დაჭკლებოდა სკოლას, რომ ეს უკვე შესამჩნევი ეოფილიეო: მაშინ აღარ ისმოდა ჩვეულებრივი სიძლიერით ქივილ-ხივილი სკოლის ეზოში, ეველა გრძნობდა, რომ რაღაცა აკლდათ. ჰეტრე ზოგიერთ ზარმაც მოწაფესავით ტეუილ-უბრალოდ სწავლას არ დაკლდებოდა; ან თუ თვითონ ავად იეო, ან დედა თუ გაუსდებოდა ავად, თორემ ისე სკოლას არ შორდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ხუთშაბათი დილა არის... მასწავლებელი სკოლის ოთახში რვეულებს ასწორებს. აჭა მორჩა კიდეც რვეულების გასწორებას, ადგა, საჩქაროდ საათში ჩახედა, ნახა, რომ უკვე რვა საათია; ნახევარი საათიც, და სწავლაც დაიწყება. მაგრამ ერთი რამ აკვირვებს: სკოლის ეზოში ბავშვები ჩვეულებრივად არ ჟრიამულობენ, არ დახტიან, მათი სიცოცხლით სავსე სიცილ-კისკისი და ხმაურობა არ აძკვირცხლებს არემარეს, ეველას თითქოს რაღაცა სევდა აწუხებს, დაღვრემიათ სახე და ხმა-დაბლა ერთი მეორეს რაღაცას ელაპარაკებიან, ეველა ჩაფიქრებულია და მასწავლებლის ოთახისაკენ ხშირ-ხშირად იხედებიან, თითქოს რაღაცას მოელიან იქიდან მოუთმენლადო.

აგერ მასწავლებელმა გააღო ოთახის კარი და მოწაფეებს დაუძახა: „დარეკეთ ზარიო“. ერთი უფროსი მოწაფე წავიდა ზარისაკენ დასარეკად. მასწავლებელს ძლიერ გაუკვირდა; წინეთ, როცა იტეოდა: „ზარი დარეკეთო“, თითქმის ეველა მოწაფე ჟივილ-ხივილით გაეშურებოდა ზარისაკენ, ეველას უნდოდა თვითონ დაერეკა ზარი, ახლა კი, ერთის მეტს არც კი გადაუდგამს ფეხი ზარისაკენ. ზარის ხმაზე მოთენთილად შემწკრივდნენ საკლასო ოთახში. მასწავლებელი არც კი შესულიეო, რომ კარებშივე მივიდნენ მასთან და უთხრეს:

— მასწავლებელო, ჰეტრე დიდიმაძაშვილს მატარებელმა ცალი ფეხი მოსწეეიტა და თვითონ ახლა საავადმეოფოში წაიეეანეს.

— ფეხი მოსწეეიტა!..—ელდა-ნაცემივით შეჰეეირა მასწავლებელმა და ერთ ადგილზე გაშეშდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწაფეები ხმა-გაკმენდილები დასხდნენ თავთავიანთ ადგილებზე და ეველა მასწავლებელს შესცქეროდა; ზოგი, უფრო კი გოგოები, ტიროდნენ...

ახლა კი მიხვდა მასწავლებელი, თუ რატომ იუვნენ შეგირდები დაღვრემილნი სკოლის ეზოში, რატომ მოუთმენლად ელოდნენ მასწავლებლის გამოსვლას. ბავშვების მგრძნობიარე გული მოუთმენლად ცდილობს მწუხარება თუ სიხარული მალე გაუნაწილოს სხვას, ამით ისინი დიდებზე უფრო გრძნობენ შვებას. და აკი, უთხრეს თუ არა ეს საძწუხარო ამბავი მასწავლებელს, თითქოს ეველას გულზე მოეშვა, თითქოს დარწმუნებული არიანო, რომ მასწავლებელი რამეს უშველის წამხდარ საქმესო...

კარგა ხნის დუმილის შემდეგ მასწავლებელი გამოერკვა და საუვედურის კილოთი მიმართა შეგირდებს:

— არა, აკი ეოველ დღე გარიგებთ, გეუბნებით, რომ ერიდეთ მატარებელს, ნუ გიუვართ მატარებელზე შესტომა, როცა ის უკვე დაძრულია ადგილიდან, ათასჯერ გაგაფრთხილეთ, ნუ იცით ეტლტზე უკანიდან, ღერძზე შემოჯდომა მეთქი, მაგრამ არ გეუურებათ ჩემი, და აი, ახლა ხომ ხედავთ, რა უბედურება დაგვატუდა თავს... ჯერ არც კი გამომიკითხავს, მაგრამ მე ვიცი, რომ ცელქი ჰეტრიკა გაქანებულ მატარებელზე შესტებოდა...

არც კი აცალეს უკანასკნელი სიტევის დათავება მასწავლებელს, რომ მოწაფეებმა შესძახეს:

— დიახ, მასწავლებელო, თურმე საქონლის სადგურთან დაძრულ მატარებელზე შესტა და ქვეშ მოექცა...

— კარგი, ახლა დაჯექით, დაწუნარდით და ამის შემდეგ მაინც დაგამახსოვდეთ, რომ არას დროს მატარებელზე, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის უკვე დაიძრა. არ შეხტეთ, ფაეტონს უკან არ შემოუჯდეთ, ქუჩაში რომ მიდიხართ, ცელქობას თავი დაანებეთ და გზაზე მიიხედ-მოიხედეთ, ეტლმა ან ავტომობილმა არ გაგჭყლიტოთ, თორემ მერმე გვიან იქნება.

III

გავიდა ხუთი თვე... შეგირდები შეურიგდნენ იმ აზრს, რომ მათ გამოაკლდათ ჰეტრე, მათი მკვირცხლი და მოუსვენარი ჰეტრიკა, როგორც მას ეძახოდნენ. შემოდგომის ღრუბლიანი დღე იყო; სწავლა ჯერ არ დაწყებულიყო, შეგირდები სკოლის ეზოს მოჭყენოდნენ და საამური ჭრიამულით ჭაერს ავსებდნენ. უცებ გააღო ჭიშკარი შუახნის დაღვრემილმა ქალმა და სკოლის ეზოში შემოიყვანა ჰატარა უავარჯნიანი ემაწვილი; ის ნელა მოაბიჯებდა, მხრებში ბამბუკის მჩატე უავარჯნები ედგა და ისე მოდიოდა. ეტყობოდა, უავარჯნით სიარულს კიდევ ვერ შესჩვეოდა; მას თავი ძირს ჭქონდა დახრილი, დედა კი განზე მოჭყვებოდა სკოლისაკენ. ბავშვებმა რომ მოჭკრეს თვალი ამ სანახაობას, უცებ გაშეშდნენ და გაოცებით უწყეს ცქერა. ვერ მოსულიყვნენ გონს, თუ ვინ უნდა ეოფილიყო ეს ქალი და ცალფეხა ბავშვი. უცებ ერთმა ემაწვილმა იცნო და გაოცებით და თან რაღაც შიშის გრძნობით წამოიძახა:

— დედა, დედა, ბაეშვებო, ჰეტრიკა მოიყვანეს, ჰეტრიკა მოვიდა!..

უცებ ყველა შეკრთა, სახე ნაღვლით აევსოთ და ბევრმაც სიბრალულის ცრემლი გადმოღვარა უმანკო თვალებიდან. ჰე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიკა კი უახლოვდებოდა სკოლის კარებს, ზევით თავს არ სწევდა, მოწაფეებს თვალს ვერ უმაგრებდა, თითქოს მათთან რაღაც დანაშაულობას გრძნობსო. ბავშვები ნელ-ნელა გარს შემოერტყნენ და ეურადღებით თვალიერება დაუწყეს.

გამოვიდა მასწავლებელი, მივიდა ჰეტრიკას დედასთან, მიესალმა, შემდეგ ჰეტრიკას თავზე ხელი დაადო და უთხრა:

—არა გიშავს-რა, ჩემო ჰეტრე, ღმერთს უმადლოდე, რომ მთლად არ დასახიჩრდი; არა გიშავს-რა: ახლა უფრო გულმოდგინედ ისწავლი, ნასწავლი კაცი გამოხვალ და ცალი ფეხითაც იოლად წახვალ. არა გიშავს-რა.

ჰეტრიკას დედას თვალები ცრემლებით აევსო და მასწავლებელს მიმართა:

—ღმერთი თქვენ თავს გვიცოცხლებს, გვიშველეთ რამე. თქვენ იცით, თუ როგორ ეურადღებას ამ მიაქცევთ შავდღიან ბიჭს. დავიღუპე, მერცხალივით მალხაზი ბავშვი დამეჩაგრა. ახლა თუ არ ისწავლა, ხომ არაფრად არ ვარგა ცალფეხა:— ლუღლუღებდა ჰეტრიკას დედა.

—მაშ, მაშ, უნდა ისწავლოს, ახლა მეტი გზა არ არის. ეს მწარე გაკვეთილი ამის ამხანაგებს ჭკუას ასწავლის და სიფრთხილის გზაზე დააყენებს. წადი, ჰეტრე, დაჯექი სკამზე სკოლაში და გულმოდგინედ შეუდექ სწავლას,—უთხრა მასწავლებელმა.

ჰეტრე თითქოს გათამამდაო, თავი ზეზე აიღო და ამხანაგებს ნაღვლიანი გადახედვით გაულიმა.

იმ დღიდან გულმოდგინედ მოჰკიდა ჰეტრიკამ სწავლას ხელი, ცელქობას უკლო. ამხანაგები უფრო მზრუნველობით

ეჰურობიან, ოველთვის უფრთხილდებიან, არასოდეს არ ა[illegible]ნებენ, შველიან კიბეზე ჩასვლა-ამოსვლის დროს და შეჯეფფუ-ლი ამსანაგები ოველთვის გზას უთმობენ.

ჰეტრიკა ერთობ გამოიცვალა, წინანდებურად ხომ არ შეუძლია ცელქობა; მაგრამ არც სალისი აქვს ცელქობისა: ის ერთობ წუნარი, ბეჯითი და კეთილი ბავშვია, დადის თავისი ეავარჯნებით ნელ-ნელა. ახლო მომავალში მას „ფეხსაც“ გაუკეთებენ, და მაშინ ის რასაკვირველია ეავარჯნით, მაგრამ მაინც უფრო ადვილად იქლის სკოლაში.

ი. სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის ხელმწიფის ბრილიანტები

(დასასრული*)

ორთელი ხუთი წელიწადი ბედნიერად, უდარდელად ცხოვრობდნენ ახალგაზრდები და არც ერთხელ ამ დროს განმავლობაში ტადაიოშს არ გახსენებია თავისი სახლი. მერე მოაგონდა მამის სახლი და დაღონდა. შენიშნა ეს ცოლმა და უთხრა მამას:

— ხუთი წელიწადია ვცხოვრობთ მე და ტადაიოში ბედნიერად და ერთხელაც ასე არ დაღონებულა. ეს მე მეტად მაწუხებს.

მეფემ მოიხმო თავისი სიძე, მოუალერსა და სთხოვა ეთქვა მიზეზი მოწყენისა და ისიც, თუ როგორ გაჩნდა იგი ზღვის სამეფოში, რამ მოიყვანა ამ ქვეყანაში.

სიძემ ყველაფერი უამბო, უამბო, თუ როგორ დაჭარგა ანკესი და მის საძებნელად წამოსულა ამ სიშორეზე.

ზღვის მეფემ მაშინვე მოიხმო ყველა თავის ქვეშევრდომი, დიდი და პატარა თევზები, და გამოჰკითხა: ხომ არავის გიპოვნიათ ზღვაში ანკესიო.

არავინ არა იცოდა-რა ანკესისა; ამ დროს ერთმა პატარა თევზმა განაცხადა: წვერამ ამას წინად შემომჩივლა—ყელში რაღაც მაწუხებსო; იქნება მან გადაყლაპა.

*) იხილე „ნაკადული“-ს მე-2 №.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილმა სასახლის ექიმმა გაულო ხახა წვერას ⁄ ამოიღო ანკესი. ეს აღმოჩნდა ტადაიოშის დაკარგული ანკესი. მეტად გაიხარა ხელმწიფის ვაჟმა და გამხიარულდა.

ზღვის მეფემ აჩუქა სიძეს ორი ძვირფასი ბრილიანტი. ერთს ერქვა სახელად „მოქცევა“ და მეორეს „უკუქცევა“, და უთხრა:

— ძვირფასო შვილო, ახლა შეგიძლია დაბრუნდე მამიშენის სახლში და დაუბრუნო შენს ბოროტ ძმას მისი ანკესი. შეიძლება იმან ბოროტება არ მოიშალოს, და სწორედ მის მოსარჯულებლად გაძლევ ამ ქვებს. როგორც კი შენი ძმა დაგიწყებს ჩხუბს, აიღე ეს ქვა, რომელსაც „მოქცევა“ ჰქვია, და მე გავჩნდები შენ საშველად. მაშინვე ზღვის ტალღებს ავაბობოქრებ, გადმოვლასავ მისკენ და დაუპირებ შთანთქმას შენ ბოროტ ძმას. მაგრამ თუ კი ის დაწყნარდება, ბოდიშს მოიხდის შენ წინაშე, იმ შემთხვევაში აიღე ის ქვა, რომელსაც „უკუქცევა“ ჰქვია, და წყალი ჩადგება თავის კალაპოტში.

დიდი მადლობა უთხრა ტადაიოშმა ზღვის მეფეს ამ საჩუქრისათვის, წამსვე გამოეთხოვა თავის საუვარელ ცოლს, რომელმაც ბევრი, ძრიელ ბევრი ცრემლები დაღვარა; არც ემაწვილი იყო მხიარული, მასაც გული უკვდებოდა ცოლის მოშორებით, მაგრამ მოვალეობა მოითხოვდა მისგან სამშობლოში დაბრუნებას, სადაც დიდი ხანია უცდიდნენ მშობლები და ნათესავები; შეჯდა მეფის შვილი ნიანგზე და შესცურა ზღვაში.

როგორც რომ მივიდა სახლში ტადაიოში, იმ წუთსვე მიართვა თავის ძმას ნაკასავას დაკარგული ანკესი. ნაჩუქარ ბრილიანტებზე ხმა არ ამოუღია და ფრთხილად ინახავდა.

ნაკასავა სშირად უჯავრდებოდა ძმას, რადგან არ უყვარდა ტადაიოში, სშირად უსამართლოდ ეპყრობოდა; ამ დროს ტადაიოში ასწევდა ქვას „მოქცევას“ და უცნაური საქმე ხდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და: წყალი ზღვიდან ამოდიოდა, ტალღები ეხეთქებოდა ნაპირებს და ლამობდა ნაკასავას ჩანთქმას; ნაკასავა მოინანიებდა, ბოდიშს მოიხდიდა ძმის წინაშე, შეეხვეწებოდა პატიებას; მაშინ ტადაოში ასწევდა ქვა „უკუქცევას“ და წყალი წუნარად ჩადგებოდა კალაპოტში.

ასე ხდებოდა იმ დროიდის, სანამ ნაკასავამ არ იგრძნო, რა უსამართლოდ ეპყრობოდა ძმას. დაუვარდა ერთხელ ფეხქვეშ და შესძახა:

— მაპატიე, ძმაო, ახლა ვგრძნობ, რა უსამართლო და ბოროტი ვიყავი შენთან; გაძლევ სიტყვას ამიერიდან კეთილ გზას დავადგე. დავივიწყოთ ყველაფერი და ვიცხოვროთ მეგობრულად.

ტადაიოშმა აპატია ძმას, მაგრამ მას შემდეგ ქვეყანაზე დარჩა ის ბუნების მოვლენა, რომელსაც ზღვის „მოქცევას“ და „უკუქცევას“ ვეძახით.

ახლაც იაპონიის ხელმწიფის მიკადოს სასახლეში არის ერთი სურათი, რომელზედაც ჩინებულად დახატულია ბოროტი ნაკასავა როგორ ებრძვის მის გარშემო აბობოქრებულ ზღვის ტალღებს.

ია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუდა-კუდა არაკები

აი, მსაჯული!

ამალებული მირბოდა მგელი თავის საქმეებზე; გულისეური გაებნა და ბრაგვანი მოსძვრა უშველებელ „სამგლე ორმოში“, რომელიც მონადირეს გაეკეთებინა მგლების დასაჭერად და ზემოდ ხის ტოტები, ჩალა-ბულა და ბალახ-ბულახი გადაეფარებინა.

აღრიალდა მგელი, მთელი ტეე შესძრა; არე-მარე გააყრუა ბღავილითა...

მოსცვივდნენ ამბის გასაგებად ეოველის მხრიდან ნადირნი: ფოცხვერი, მელა, ტურა; ჩაისედეს ორმოში და ნიშნის მოგებით ჩასძახეს:

— ავაზაკს სასჯელიც ღირსეულიო!

— რამდენი უბედურება დაუტეხია მაგ საძაგელს ცხვრებისა და გოჭებისათვის!—ამბობს ფოცხვერი.

— მაშა! ღმერთი სამართლიანია!—ემოწმება მელა,—სიავე სხვას ვის შერჩენია, რომ მაგას შერჩენოდა? მაგის შიშით მთელ სოფელში ერთი საქათმეც ვერ დაუტოვებიათ ღია, ერთი წიწილიც კი არავის დარჩება კარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიასაც რომ სამართლით მოჰკითხა განგებამ!—დაუძახა ტურამ,—ვინ მოსთვლის მაგის მიერ ჩადენილ ბოროტ საქმეებს? დღემდე იყო ღირსი ეგ ქურდ-ბაცაცა ამ ბედისა!..

მწარედ ამოიხვნეშა მგელმა და გულის ტკენით ამოსძახა არამკითხე მსაჯულებს.

— ეჰ, თქვე „უცოდველნო!“ მართლაც და შეიძლება ბევრში ვიყო დამნაშავე, მაგრამ თქვენგან კი არ მეკუთვნის გასამართლება,—აბა ერთი თავზე დაიხედეთ—რაცა ბრძანდებითო!..

ილ. გოგია

[illegible]

გასართობი



აქ ნაჩვენებ ოთხ ფიგურისაგან შეადგინეთ ოთხკუთხი, კვადრატი.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი ი. პ. თუმანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის.

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი **მეთოთხმეტე.** **„ნაკადული“** წელიწადი **მეთოთხმეტე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით

საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით

მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა რედაქციას, ეცდება მცირე-წლოვანთათვის წინანდელივით **ორი წიგნი** გამოსცეს თვეში და მოზრდილთათვის—**ერთი წიგნი**; წინააღმდეგ შემთხვევაში კი გამოიცემა თვეში ერთი წიგნი მცირე-წლოვანთათვის, და ერთი წიგნი—მოზრდილთათვის.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—12 მან. ნახევარი წლით—7 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის—7 მან. მოზრდილთათვის—7 მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. №8. შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2., წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძესთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან, ფოსტაში, ტ სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მეთოდე კაკაბაძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან ტ ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ი. წერეთელთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. **ოზურგეთში**—სალომე ხუნდაძესთან, **ლანჩხუთში**—მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი ტ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.